აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სამედიცინო-სოციალური დახმარების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ
2017 წელი 9 თვე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის ჯანდაცვითი პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს 350 000.00 ლარს.

აფხაზეთის მოსახლეობისთვის სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებს მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროფილის მიზნობრივ პროგრამებს. მათ შორის:

1. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირები) ამბულატორიული დახმარების პროგრამა.**

2. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე) ჰოსპიტალური მკურნალობის პროგრამა.**

ამ ორი პროგრამის ფარგლებში დახმარება უკვე გაეწია **859 ბენეფიციარს** (2806 ეპიზოდი).

კერძოდ :

1.1 კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი. პროგარმის ფარგლებში დაფინანსდა **105 ბენეფიციარი (119 ეპიზოდი).**

1.2 ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევის (სხვადასხვა სახეები) კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **296 ბენეფიციარი (303 ეპიზოდი).**

1.3. ინსტრუმენტული გამოკვლევების (ელექტროენცეფალოგრაფია, დოპლეროგრაფია და ენდოსკოპიური კვლევების ცალკეული სახეები) კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **124 ბენეფიციარის** სამედიცინო მომსახურება (**124 ეპიზოდი**).

1.4 ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **54 ბენეფიციარის** სამედიცინო მომსახურება (**74 ეპიზოდი**),

1.5 სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **93 ბენეფიციარი (1860 ეპიზოდი).**

1.6. უშვილობის დიაგნოსტიკის და პრევენციის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **16 ბენეფიციარის** ამბულატორიული მომსახურება (**101 ეპიზოდი**).

1.7 მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **110 ბენეფიციარის** სამედიცინო მომსახურება (**160 ეპიზოდი**).

1.8. ლაბორატორიულ-მორფოლოგიური (წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია, სხვადასხვა ბიოფსიური მასალის ციტოლოგიური კვლევა) კვლევების კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **27 ბენეფიციარის** სამედიცინო მომსახურება (**28 ეპიზოდი**),

1.9. ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **5 ბენეფიციარის** სამედიცინო მომსახურება (**8 ეპიზოდი**).

ამრიგად, სულ ამბულატორიული დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **830 ბენეფიციარი (2777 ეპიზოდი).**

2. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე) ჰოსპიტალური მკურნალობის პროგრამის კორონარული ანგიოგრაფიის და პერიფერიული არტერიოგრაფიის კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა კორონოგრაფიის 28 ეპიზოდი; ორივე ზედა და ქვედა კიდურის პერიფერიული არტერიოგრაფიის 1 ეპიზოდი.

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა. ჩატარდა 6 გასვლითი

ღონისძიება ქვეყნის რეგიონებში. პროგრამის ფარგლებში სულ გასინჯულია **1820 პირი (8950 ვიზიტი) და გაცემულია 36 049.75 ლარის ღირებულების მედიკამენტები.**

გარდა ჯანდაცვითი პროგრამებისა სამინისტრო ასევე ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, კერძოდ, **„აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამას“,** რომლის ფარგლებშიც:

4.1 სამედიცინო პერსონალის გადამზადების კომპონენტი. გადამზადების კურსი გაიარა 30-მა ექიმმა, მათ შორის 17 აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდანაა, ხოლო დანარჩენი რეგიონის წარმომადგენელია (ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი).

4.2 „სამედიცინო პერსონალის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების“ გადამზადების კომპონენტი. გადამზადების კურსი გაიარა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე 9 ექიმმა.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა. **2017 წლის საანგარიშო პერიოდში** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისათვის მომართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ეთნიკურად აფხაზმა **601-მა პირმა.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა აფხაზ პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტი. 2017 წლის საანგარიშო პერიოდში რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა **15-მა** ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად.

სამინისტროს სხვა აქტივობები:

2017 წლის 2 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე, რომელიც მთლიანად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და სამედიცინო მომსახურების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა, აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ქეთევან ბაკარაძემ წარადგინა ვრცელი, დეტალური მასალა.

სხდომამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც ორიენტირებულია არსებული ვითარების ეტაპობრივი გაუმჯობესებისთვის რეალური ბაზის შექმნის პერსპექტიულ ღონისძიებებზე.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროსა და ორგანიზაცია „კამპუს ლაიონს კლუბ თბილისთან“ თანამშრომლობის ფარგლებში **55 შაოსან დედას** გადაეცა საყოფაცხოვრებო ნივთები. ამავე ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ლუკავების მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა სარეცხი მანქანა და პლაზმური ტელევიზორი.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის" ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 21 პირს გადაეცა ადაპტირებული გადასაადგილებელი ეტლი.

2017 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკასთან“ ერთად ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა სამედიცინო-დიაგნოსტიკური გასინჯვები. მომსახურებულ იქნა **38 ბენეფიციარი,** განხორციელდა **80-მდე ვიზიტი** ექიმებთან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და კონკრეტული აქტივობები განხორციელდა და გრძელდება 2017 წლის სამუშაო გეგმის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებების, აგრეთვე, კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით.